ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

უეფას სუპერთასის ბილეთები საჯარო დაწესებულებებისათვის

სექტემბერი, 2015

კვლევა განხორციელდა პროექტ "**საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge**"-**ფარგლებში**

პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ფონდი ღია საზოგადოება საქართველო და ღია საზოგადოების ფონდები

*ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI) და არ გამოხატავს **ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“** და **ღია საზოგადოების ფონდების** პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ არიან პასუხისმგებელი ანგარიშის შინაარსზე.*

Contents

შესავალი 3

საქართველოს პარლამენტის აპარატი 4

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია 7

მთავრობისადმინისტრაციადასამინისტროები 9

- იუსტიციის სამინისტრო 10
- საგარეო საქმეთა სამინისტრო 11
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო 13
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო 15
- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო 16
- თავდაცვის სამინისტრო 17
- ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო 18
- ენერგეტიკის სამინისტრო 19
- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო 20
- მთავრობის ადმინისტრაცია და სხვა სამინისტროები 21

თბილისის მერია 23

დასკვნა 25

შესავალი

2015 წლის 11 აგვისტოს თბილისში გამართული უეფას სუპერთასის ფინალურ მატჩზე დასწრების რეკორდული მაჩვენებელი 51 490 მაყურებელი დაფიქსირდა. საქართველოში აღნიშნულ მატჩზე დამსწრეთა მსურველი გაცილებით მეტი იყო, თუმცა ბილეთების შეზღუდულმა რაოდენობამ ყველა გულშემატკივარს ამის საშუალება არ მისცა. გულშემატკივრების ყველაზე დიდი უკმაყოფილება ბილეთების გაყიდვის ხარვეზებით წარმართულმა პროცესმა გამოიწვია. აღნიშნულ მატჩზე დასწრებაზე არსებული მაღალი მოთხოვნის და ინტერესის ფონზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის მნიშნელოვან გამოწვევად იქცა სამართლიანობის პრინციპის დაცვით ქართველ გულშემატკივრებზე ბილეთების გაყიდვის საკითხი.

წინამდებარე კვლევაში IDFI შეეცადა გამოერკვია რამდენად თანაბრად ხელმისაწვდომი იყო უეფას სუპერთასის მატჩზე დასასწრები ბილეთები საჯარო სექტორში დასაქმებული და სხვა მოქალაქეებისათვის.

2015 წლის 4 აგვისტოს IDFI-იმ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მიმართა სახელმწიფო დაწესებულებებისათვის გამოყოფილი ბილეთების/მოსაწვევების და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მათთან არსებული მიმოწერის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით. მიუხედავად არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ინსტიტუტის მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ინფორმაციის გასაჯაროებისაგან თავის არიდების შემდგომ, IDFI შეეცადა აღნიშნული ინფორმაცია თავად საჯარო დაწესებულებებიდან მიეღო და 20 ცენტრალურ საჯარო დაწესებულებას (საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მთავრობის ადმინისტრაცია, 16 სამინისტრო, თბილისის მერია) მიმართა შემდეგი მოთხოვნებით:

- **2015 წლის 11 აგვისტოს თბილისში გასამართი უეფას სუპერთასის მატჩზე დასასწრები ბილეთების და მოსაწვევების გამოყოფასთან დაკავშირებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან არსებული მიმოწერის ასლები;**

- **უეფას სუპერთასის მატჩზე დასასწრებად გადმოცემული ბილეთების და მოსაწვევების (ცალ-ცალკე) რაოდენობა კატეგორიების მიხედვით.**

ზემოთ ხსენებული 20 უწყებიდან ინსტიტუტმა პასუხი მიიღო 17 უწყების შემთხვევაში. ***სამწუხაროდ ფინანსთა, შინაგან საქმეთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებს პასუხი ჩვენს მოთხოვნებზე დღემდე არ მოუწოდებია.***

როგორც დანარჩენი უწყებებიდან მიღებული დოკუმენტაციით ირკვევა 8 საჯარო დაწესებულების შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან მიმოწერას, რომლის მიხედვით დაწესებულებები ითხოვდნენ დახმარების გაწევას მათი თანამშრომლებისათვის **(თანამშრომლების საკუთარი სახსრებით)** უეფას სუპერთასის მატჩზე დასასწრები ბილეთების შეძენაში. **აღნიშნულ 8 უწყებას ფეხბურთის ფედერაციის მიერ შესასყიდად სულ გადაეცათ 710 ბილეთი, საიდანაც ყველაზე მეტი გამოეყოთ ქალაქ თბილისის მერიას და საქართველოს პარლამენტს.**

- თბილისის მერია - **240 ბილეთი**
- საქართველოს პარლამენტი - **200 ბილეთი**
- პრეზიდენტის ადმინისტრაცია - **50 ბილეთი**
- იუსტიციის სამინისტრო - **50 ბილეთი**
- საგარეო საქმეთა სამინისტრო - **50 ბილეთი**
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - **50 ბილეთი**
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო - **50 ბილეთი**
- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო - **20 ბილეთი**

საქართველოს პარლამენტის აპარატი

საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის ქ. თბილისში 2015 წლის 11 აგვისტოს გასამართი უეფას სუპერთასის მატჩზე დასასწრები ბილეთების და მოსაწვევების შესახებ მიმოწერა იწყება ჯერ კიდევ 2015 წლის 23 ივნისს, როდესაც სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **შოთა ხაბარელმა** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ზვიად სიჭინავას მიმართა თხოვნით, მათთვის შესასყიდად გამოეყოთ **100 ბილეთი**.

აღნიშნული წერილის შემდგომ 2015 წლის 8 ივლისს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მიმართა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ **ზურაბ ტყემალაძემ**, რომელმაც ითხოვა კომიტეტის წევრებისათვის (19 წევრი) და თანამშრომლებისათვის შესასყიდათ გამოეყოთ 50 პირველი კატეგორიის ბილეთი.

ბატონო დომენტი,

გაზრდილი ინტერესიდან გამომდინარე, რომელიც დაკავშირებულია ევროპული ფეხბურთის ასოციაციების კავშირის 2015 წლის სუპერთასის საფეხბურთო მატჩის გამართვასთან, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სახელით, მოგმართავთ თხოვნით მატჩზე დადასწრებად კომიტეტის წევრებსა (19 წევრი) და თანამშრომლებისათვის შესასყიდად გამოგვიყოთ პირველი კატეგორიის 50 ბილეთი.

წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემით,

ზურაბ ტყემალაძე

კომიტეტის თავჯდომარე

2015 წლის 13 ივლისს ფეხბურთის ფედერაციას ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ სახელით მიმართავს აღნიშნული ფრაქციის თავმჯდომარე **გიორგი თოფაძე** და ითხოვს პირველი კატეგორიის 15 ბილეთის გამოყოფას.

ბატონო დომენტი,

გაზრდილი ინტერესიდან გამომდინარე, რომელიც დაკავშირებულია ევროპული ფეხბურთის ასოციაციების კავშირის 2015 წლის სუპერთასის საფეხბურთო მატჩის გამართვასთან, საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების" სახელით, მოგმართავთ თხოვნით მატჩზე დასწრებად გამოგვიყოთ პირველი კატეგორიის 15 ბილეთი.

წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემით,

გიორგი თოფაძე

ფრაქციის თავჯდომარე

როგორც 2015 წლის 24 ივლისის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის შოთა ხაბარელის წერილით ირკვევა პარლამენტის წევრებისა და აპარატის თანამშრომლებისათვის ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამოიყო **200 ბილეთი** (I კატეგორიის 100 ბილეთი და II კატეგორიის 100 ბილეთი) საერთო ღირებულებით **11 000 ლარი.** აღნიშნული თანხის გადახდის უფლებამოსილება მიენიჭა ხსენებული კომიტეტის აპარატის უფროსს ედიშერ მაჩაიძეს, თუმცა მოწოდებული დოკუმენტაციით არ ირკვევა ბილეთების საფასური გადახდილი იქნა თანამშრომელთა პირადი სახსრებით თუ საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტიდან.

ბატონო დომენტი,

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი გაცნობებთ, რომ ამავე აპარატის უფროსი ბატონი ედიშერ მაჩაიძე (პირადი №01029001301) უფლებამოსილია პირადად გადაიხადოს სფფ-ს ანგარიშზე პარლამენტის წევრებისა და აპარატის თანამშრომლებისათვის გამოყოფილი ,,ბარსელონა - სევილია"-ს მატჩზე დასასწრები ბილეთების ღირებულება 11 000.00 (თერთმეტი ათასი, 100 X 75,00=7 500.00 და 100 X 35,00=3 500.00) ლარის ოდენობით და მიიღოს სფფ-დან შესაბამისად მითითებული ბილეთების რაოდენობა.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარის
პირველი მოადგილე

შოთა ხაბარელი

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე 2015 წლის 9 ივლისს მოსაწვევი გაგზავნილია უეფას პრეზიდენტის მიშელ პლატინის მიერ.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან მიღებული დოკუმენტაციის მიხედვით 2015 წლის 30 ივნისს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა დავით პატარაიამ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მიმართა თხოვნით გაეწიათ დახმარება ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის უეფას სუპერთასის მატჩზე დასასწრები ბილეთების შეძენაში.

2015 წლის 9 ივლისს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ გიორგი აბაშიშვილმა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს აცნობა ბილეთების რაოდენობა რომლის შეძენაშიც სურდათ მათ დახმარების გაწევა :



საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

KA000096456808615

№6921

09 / ივლისი / 2015 წ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს
დომენტი (ზვიად) სიჭინავას

ბატონო დომენტი,

გთხოვთ, დაგვეხმაროთ ბარსელონა-სევილიას შორის უეფას-ს სუპერთასის მატჩზე

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის დასასწრები

ბილეთების შეძენაში და გამოგვიყოთ:

(VIP) კატეგორიის ბილეთი- 6 ცალი

პირველი კატეგორიის ბილეთი -25 ცალი

მეორე კატეგორიის ბილეთი- 25 ცალი

პატივისცემით,

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განმარტებით ფეხბურთის ფედერაციის დახმარებით ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ შეძენილია 25 ცალი I კატეგორიის და 25 ცალი II კატეგორიის ბილეთი, თუმცა მათ VIP მოსაწვევები არ მიუღიათ.

მთავრობის ადმინისტრაცია და სამინისტროები

2015 წლის 6 აგვისტოს IDFI-იმ მიმართა ყველა სამინისტროს უეფას სუპერთასის ბილეთების შესყიდვასთან დაკავშირებით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ **საქართველოს ფინანსთა, შინაგან საქმეთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების შემთხვევაში ინსტიტუტს პასუხი სამწუხაროდ დღემდე არ მიუღია.** რაც შეეხება დანარჩენი 13 სამინისტროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, როგორც ირკვევა 5 სამინისტროს (იუსტიციის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო) შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მათი თანამშრომლებისათვის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ბილეთების გამოყოფას. ხსენებულ **5 სამინისტროში დასაქმებული თანამშრომლებისათვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ სულ გამოყო 220 ბილეთი, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 9 225 ლარს.აღნიშნული თანხა გადახდილია ზემოთ ჩამოთვლილი სამინისტროებში დასაქმებული თანამშრომლების მიერ საკუთარი სახსრებით.**

სამინისტროების თანამშრომლებისათვის შესასყიდად გამოყოფილი ბილეთები და გადაცემული VIP მოსაწვევები						
სამინისტრო	**VIP მოსაწვევი**	**I კატეგორია** (75 ლარი)	**II კატეგორია** (35 ლარი)	**III კატეგორია** (18 ლარი)	სულ ბილეთების რაოდენობა	სულ ღირებულება
იუსტიციის სამინისტრო		20	15	15	**50**	**2 295**
საგარეო საქმეთა სამინისტრო		10	20	20	**50**	**1 810**
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	4	10	20	20	**50**	**1 810**
სოფლის მეურნეობის სამინისტრო		10	20	20	**50**	**1 810**
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო		20	0	0	**20**	**1 500**

იუსტიციის სამინისტრო

2015 წლის 8 ივლისს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ტაბატაძემ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მიმართა 50 ცალი (20 ცალი I კატეგორია, 15 ცალი II კატეგორია,15 ცალი III კატეგორია) ბილეთის გამოყოფის თხოვნით, რომელსაც შეიძენდნენ სამინისტროს თანამშრომლები საკუთარი სახსრებით. ამასთან, წერილში აღნიშნულია, რომ ფედერაციის მხრიდან კეთილი ნებისა და საშუალების შემთხვევაში, სამინისტრო გამოთქვამდა სურვილს დამატებითი რაოდენობის ბილეთების შესყიდვაზე.

ფედერაციის მიერ სამინისტროსთვის გადმოგზავნილი ინვოისისმიხედვით სამინისტროს თანამშრომლების მიერ განხორციელდა, იმ ოდენობის ბილეთების შესყიდვა, რომელიც მინისტრის მოადგილის წერილშია მითითებული. **აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული 50 ბილეთი იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებზე გადანაწილდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით**. კერძოდ, ადამიანური რესურსების დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა გათამაშება, რომელმაც გამოავლინა ბილეთის შეძენის უფლების მქონე თანამშრომლები. დეტალურად, სამინისტროში განხორციელებული გათამაშების და მისი შედეგების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემულ დოკუმენტში.

დანართის სახით გიგზავნით 2015 წლის 11 აგვისტოს გამართულ უეფა-ს სუპერთასის მატჩზე დასასწრები ბილეთების შესახებ სამინისტროსა და ფეხბურთის ფედერაციას შორის მიმოწერის ასლებს.

დამატებით გაცნობებთ, რომ ბილეთების შესყიდვა არ განხორციელებულა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ. ბილეთები შეძენილ იქნა სამინისტროს სისტემაში დასაქმებული თანამშრომლების მიერ პირადად, რომლებიც შერჩეულ იქნენ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით;

ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ორგანიზებით ბილეთების შეძენის უფლება გათამაშდა სამინისტროს „G" სართულზე (ეარუნდზე). გათამაშებას ესწრებოდნენ როგორც ცენტრალური აპარატის, ისე სამინისტროს სისტემის საჯარო სამართლის იურიდიული პირების წარმომადგენლები;

ერთ თასში მოთავსდა ფურცლები სათითაოდ ყველა თანამშრომლის სახელითა და გვარით, ასევე, მითითებული იყო დაკავებული სამსახურებრივი თანამდებობები; მეორე თასში კი – 50 (ორმოცდაათი) ბილეთის შეძენის უფლება – თასში მოთავსებულ ფურცლებზე მითითებული იყო ბილეთის ღირებულება;

გათამაშების წამყვანი, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მრჩეველი, თასიდან იღებდა ფურცელს კონკრეტული თანამშრომლის სახელითა და გვარით, შემდეგ მეორე თასიდან იღებდა მოგებული (იმავე) თანამშრომლისთვის ბილეთის კატეგორიას;

ბილეთების საერთო რაოდენობიდან 25 (ოცდახუთი) ბილეთი გათამაშდა სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომლებზე, ხოლო დანარჩენი 25 (ოცდახუთი) – სსიპ-ების თანამშრომლებზე.

გაწვდით ცენტრალური აპარატის იმ თანამშრომლების კატეგორიებს, რომლებმაც მოიპოვეს ბილეთის შეძენის უფლება: მენეჯერი – 7; მრჩეველი – 14; სპეციალისტი – 3; მძღოლი – 1.

სსიპ-ების თანამშრომლების კატეგორიები, რომლებმაც მოიპოვეს ბილეთის შეძენის უფლება შემდეგია: მედიატორი – 1; დამკვანძადონეებელი – 1; უფროსი პროგრამისტი – 1; მთავარი ბუღალტერი – 1; ოფისის ადმინისტრირების სამსახურის დიასახლისი – 1; არქივის სპეციალისტი – 1; კასატორი – 1; ელექტრიკოსი – 1; რეგისტრატორი – 1; მთავარი სპეციალისტი –1; შტატგარეშე მოსამსახურე – 2; სამსახურის უფროსი – 1; სამსახურის დარაჯი – 1; სამსახურის დამლაგებელი – 1; სამსახურის უფროსის მოადგილე – 1; სამსახურის მრჩეველი – 1; სწრაფი სივრცის ოპერატორი – 1; სექტორის კოორდინატორი – 1; სივრცის კონსულტანტი – 1; სამსახურის ასისტენტი – 1; მენეჯერი – 1; უფროსი აღმასრულებელი – 2; ბუღალტერი – 1.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მრჩეველი
(საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი)

თამთა ფეტვიაშვილი

საგარეო საქმეთა სამინისტრო

2015 წლის 10 ივლისს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვლადიმერ გურგენიძემ ფეხბურთის ფედერაციას მიმართა 70 ბილეთის (15 ცალი I კატეგორია, 40 ცალი II კატეგორია,15 ცალი III კატეგორია) და მინისტრის და მისი მოადგილეებისათვის 3 ცალი მოსაწვევის გამოყოფის თხოვნით. როგორც შემდგომი მიმოწერიდან ირკვევა, ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან მინისტრის და მისი მოადგილეებისათვის მოსაწვევების გამოყოფა ვერ მოხერხდა, ხოლო მოთხოვნილი 70 ბილეთის ნაცვლად საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს საშუალება მიეცათ შეესყიდათ 50 ბილეთი (10 ცალი I კატეგორია, 20 ცალი II კატეგორია,20 ცალი III კატეგორია).



საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია
GEORGIAN FOOTBALL FEDERATION
ჭავჭავაძის 76ა. 0162 თბილისი, საქართველო
ტელ.:+99532 2912650;ფაქსი.:+995322001128
ელ-ფოსტა:gff@gff.ge. www.gff.ge
76a. Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi, Georgia
Tel.: +995 322 912650 ,+99532 2912680, +995320291261O
Fax.: +995 322 001128; E-mail: gff@gff.ge; www.gff.ge

INVOICE

ბანკი:

N ----81/supercup
20.07.2015

გადამხდელი : საქართველოს საგარეო საქმის სამინისტრო
203836322

№	დასახელება	რ-ბა ცალი	ერთ. ფასი	სულ. თანხა
1	ბარსელონა სევილიის მატჩის ბილეთები 2015 წლის 11 აგვისტო			
	დასასწრები ბილეთები	10	75	750
	დასასწრები ბილეთები	20	35	700
	დასასწრები ბილეთები	20	18	360

2015 წლის 29 ივლისს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კვლავ მიმართა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, რომ ვინაიდან მინისტრისა და მისი მოადგილეებისათვის ვერ მოხერხდა 3 მოსაწვევის გამოყოფა, მათ სანაცვლოთ ფედერაციას მათთვის გამოეყო 3 ცალი პირველი კატეგორიის ბილეთი.

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/28765
29/07/2015

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს
ბ-ნ დომენტი სიჭინავას

ბატონო დომენტი,

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელით, მოგმართავთ თხოვნით, ამა წლის 11 აგვისტოს დაგეგმილ უეფას სუპერთასის მატჩზე დასასწრებად, მინისტრისა და მინისტრის მოადგილეებისთვის განკუთვნილი 3 (სამი) ცალი მოსაწვევის სანაცვლოდ, რომელთა გამოყოფაც სამწუხაროდ ვერ მოხერხდა, გამოგვიყოთ 75 ლარის ღირებულების 3 (სამი) ცალი ბილეთი.

პატივისცემით,
დავით ჯალაღანია

მინისტრის მოადგილე

ჩვენ ხელთ არსებული დოკუმენტებიდან აღარ ჩანს დააკმაყოფილა თუ არა ფეხბურთის ფედერაციამ საგარეო საქმეთა სამინისტროს ბოლო მოთხოვნა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

2015 წლის 8 ივლისს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ თენგიზ შერგელაშვილმა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მიმართა 100 ცალი (28 ცალი I კატეგორია, 52 ცალი II კატეგორია, 20 ცალი III კატეგორია) ბილეთის გამოყოფის თხოვნით, რომელსაც შეიძენდნენ სამინისტროს თანამშრომლები საკუთარი სახსრებით.

ბატონო ზვიად,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დატვირთული სამუშაო რეჟიმისა და სპეციფიკიდან გამომდინარე, სამინისტროს თანამშრომლები დროის უქონლობის გამო მოკლებულნი არიან შესაძლებლობას შეიძინონ მ/წლის 11 აგვისტოს დაგეგმილი უეფა-ს სუპერთასის მატჩზე დასასწრები ბილეთები. ვინაიდან აღნიშნულ საფეხბურთო შეხვედრაზე დასწრების ინტერესი ძალიან მაღალია, მოგმართავთ თხოვნით, რათა თანამშრომელთა მიერ შეძენის მიზნით, გამოგვიყოთ 100 ცალი ბილეთი (28ც.-75 ლარიანი, 52ც.-35 ლარიანი, 20ც.-18 ლარიანი).

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

თენგიზ შერგელაშვილი

მინისტრის მოადგილე

როგორც ირკვევა, აღნიშნულ წერილზე სამინისტროს ოფიციალური პასუხი არ მიუღია, თუმცა როგორც სამინისტროს მიერ IDFI-სთვის გამოგზავნილ წერილშია აღნიშნული ფეხბურთის ფედერაციის ხელშეწყობით სამინისტროს თანამშრომლებს მიეცათ საშუალება საკუთარი სახსრებით შეეძინათ უეფას სუპერთასის მატჩზე დასასწრები 50 ბილეთი (10 ცალი I კატეგორია, 20 ცალი II კატეგორია,20 ცალი III კატეგორია). **ასევე სამინისტროსთვის ფედერაციის მიერ გადაცემული იქნა VIP კატეგორიის 4 მოსაწვევი.**

სოფლის მეურნეობის სამინისტრო

2015 წლის 8 ივლისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ლევან დავითაშვილმა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მიმართა 50 ცალიბილეთის (10 ცალი I კატეგორია, 20 ცალი II კატეგორია,20 ცალი III კატეგორია)და 4 VIP მოსაწვევის გამოყოფის თხოვნით. როგორც მიღებული დოკუმენტაციიდან ირკვევა ფეხბურთის ფედერაციის მიერ სამინისტროს გამოეყო 50 ცალი ბილეთი, რომლის ღირებულება ანაზღაურდა თანამშრომლების მიერ, ხოლო **VIP კატეგორიის მოთხოვნის ნაწილში სამინისტროს თხოვნა არ დაკმაყოფილდა**.

საქართველო
GEORGIA

სოფლის მეურნეობის
სამინისტრო
MINISTRY OF
AGRICULTURE

6050-01-2-201508171139

N 6050/01
17/08/2015

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის
გამგეობის თავმჯდომარეს, ბატონ ლევან ავალიშვილს
მის: ქ.თბილისი, ალ.გრიბოედოვის N3

ბატონო ლევან,

თქვენი 2015 წლის 6 აგვისტოს NOPD08/15-010 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ 2015 წლის 11 აგვისტოს თბილისში გამართულ უეფას სუპერთასის მატჩზე დასასწრებად მოთხოვნილი იყო შემდეგი კატეგორიის ბილეთები: VIP კატეგორიის 4 ბილეთი (მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა), I კატეგორიის 10 ბილეთი, II კატეგორიის 20 ბილეთი და III კატეგორიის 20 ბილეთი. აღნიშნული ბილეთების ღირებულება ანაზღაურდა თანამშრომლების მიერ.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შემთხევაში ფეხბურთის ფედერაციის მიერ მათი თანამშრომლებისათვის შესასყიდად გამოიყო20 I კატეგორიის ბილეთი. როგორც დოკუმენტაციიდან ირკვევა2015 წლის 30 ივნისს სამინისტრომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ბილეთების შეძენაზე დახმარების გაწევის თხოვნით მიმართა ინტერნეტ რესურსზე biletebi.ge- ზე შექმნილი პრობლემებიდან გამომდინარე. სხვა სამინისტროების მსგავსად ბილეთების თანხა ანაზღაურდა თანამშრომელთა მიერ.

საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა
დაცვის სამინისტრო

Ministry of Culture
and Monument Protection of
Georgia

0105, ქ.თბილისი, სამანიშვილის ქ. N4, ტელ:(2 -996-377; ფაქსი: (+99532) 2-987-430
4 Samapiro str. Tbilisi 0105, Georgia. Fax: (+99532) 2-987-430 Phone: 2 -996-377
www.culture.gov.ge, E-mail: pr@culture.gov.ge

N01/01-3727

30 / ივნისი / 2015 წ.

საქართველოს ფეხბურთის
ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ
ზვიად სიჭინავას

ბატონო ზვიად,

ინტერნეტრესურსზე "biletebi.ge" შექმნილი ტექნიკური პრობლემებიდან გამომდინარე, გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში გაგვიწიოთ დახმარება ა.წ. 11 აგვისტოს თბილისში გასამართ უეფას სუპერთასის მატჩზე („ბარსელონა-სევილია") საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თანამშრომლებისათვის შესაბამისი კატეგორიის 20 ბილეთის შესაძენად. წინასწარ გმადლობთ მადლობას.

თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შემთხვევაში უეფას სუპერთასის მატჩზე დასასწრები ბილეთები შესყიდულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში და სამშვიდობო მისიებში დაჭრილ-დაშავებული სამხედრო მოსამსახურეებისათვის. თავდაცვის სამინისტრომ ფეხბურთის ფედერაციისაგან სულ შეისყიდა 55 ცალი II კატეგორიის ბილეთი საერთო ღირებულებით 1925 ლარი.

საქართველო
თავდაცვის სამინისტრო

GEORGIA
MINISTRY OF DEFENCE

MOD 7 15 00661347

14/08/2015

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარეს
ბატონ ლევან ავალიშვილს

ბატონო ლევან,

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შემოსულ თქვენს 2015 წლის 6 აგვისტოს NOPD08/15-016 (N642245 10.08.2015წ.) წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში და სამშვიდობო მისიებში დაჭრილ-დაშავებულ (ამპუტირებულ) სამხედრო მოსამსახურეთა 2015 წლის 11 აგვისტოს, ქ. თბილისში, უეფას სუპერთასის ფინალზე დასწრების მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, 2015 წლის 7 აგვისტოს სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე, განახორციელა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისაგან ბარსელონა-სევილიის მატჩის 55 ცალი 35 ლარიანი ბილეთის შესყიდვა, საერთო ღირებულებით 1925 ლარი.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ IDFI-სთვის მოწოდებული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ აღნიშნულ სამინისტროს ფეხბურთის ფედერაციისაგან გადმოეცა უეფას სუპერ თასის მატჩზე დასასწრები 2 ბილეთი. სამწუხაროდ, სამინისტროს მიერ არ იქნა განმარტებული რომელი კატეგორიის და რა ფორმით (უსასყიდლოთ გადასცეს თუ მისცეს საშუალება შეესყიდათ) იქნა აღნიშნული ბილეთების გადაცემა ფეხბურთის ფედერაციის მიერ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED TERRITORIES, ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ª
15ª, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85
ცხელი ხაზი/Hotline: (995 32) 43-11-00
ფაქსი/Fax: (995 32) 31-15-86

www.mra.gov.ge

N 04/07/21795
12/08/2015

21795-04/07-2-201508121832

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"-ს
გამგეობის თავმჯდომარეს
ბატონ ლევან ავალიშვილს

ბატონო ლევან,

სამინისტროში 2015 წლის 10 აგვისტოს შემოსული თქვენი №OPD08/15-019 განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს გადმოეცა უეფას სუპერთასის მატჩზე დასასწრები 2 (ორი) ბილეთი.

პატივისცემით,

გოგუცა გურული

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

ენერგეტიკის სამინისტრო

2015 წლის 23 ივნისს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მიმართა თხოვნით ენერგეტიკის სამინისტროსთვის, შეძენის მიზნით, გამოეყოთ უეფას სუპერთასის მატჩზე დასასწრები **337 ბილეთი** (160 ცალი I კატეგორია, 105 ცალი II კატეგორია,72 ცალი III კატეგორია).თუმცა, ბილეთებთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების გამო 2015 წლის 21 ივლისს ენერგეტიკის მინისტრმა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს აცნობა, რომ **სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნდა ფედერაციის მიერ ენერგოსექტორის თანამშრომლებისათვის გამოყოფილი ბილეთები დაბრუნებულიყო გაყიდვაში და შეძენის საშუალება მიცემოდათ სხვა ქართველ გულშემატკივარს.**

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

MINISTRY OF ENERGY OF GEORGIA

2376-01-2-201506230000

N 01/2376
23/06/2015

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს
ბატონ ზვიად სიჭინავას

ბატონო ზვიად,

გთხოვთ, ფეხბურთში 2015 წლის უეფას სუპერთასის მატჩზე დასასწრებლად საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთვის, შეძენის მიზნით, გამოჰყოთ შემდეგი კატეგორიისა და რაოდენობის ბილეთები :

I კატეგორია (75ლარი)-160ცალი;
II კატეგორია(35ლარი)-105ცალი;
III კატეგორია(18ლარი)-72ცალი;

პატივისცემით,

კახა კალაძე
მინისტრი
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

საქართველოს ენერგეტიკის
მინისტრი

MINISTER OF ENERGY
OF GEORGIA

№ 01/2733

„21" 07 2015 წ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს
ბატონ ზვიად სიჭინავას

ბატონო ზვიად,

ენერგეტიკის სამინისტროს მიერ 2015 წლის 23 ივნისის N01/2376 წერილით შესაძენად მოთხოვნილი ფეხბურთში 2015 წლის უეფას სუპერთასის მატჩის ბილეთები გათვალისწინებული იყო ენერგოსექტორში დასაქმებული პერსონალისთვის.
ბილეთებთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების გამო, მიზანშეწონილად ვთვლით, ფეხბურთის ფედერაციის მიერ ენერგოსექტორის თანამშრომელთათვის გამოყოფილი ბილეთები დაბრუნდეს და შეძენის საშუალება მოეცეს სხვა ქართველ გულშემატკივარს.

პატივისცემით,

კახა კალაძე
ვიცე-პრემიერი/ენერგეტიკის მინისტრი

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით სამინისტროსა და ფეხბურთის ფედერაციას შორის არ ყოფილა არანაირი მიმოწერა უეფას სუპერ თასის მატჩზე დასასწრები ბილეთების და მოსაწვევების სამინისტროსთვის გამოყოფასთან დაკავშირებით.

როგორც ირკვევამატჩის ორგანიზატორების მხრიდან სამინისტროსთვის მიწოდებული იქნა მოსაწვევები მინისტრისა და მისი მოადგილეებისათვის. ასევე, 3 მოსაწვევი ესტონეთის ოფიციალური დელეგაციის წევრებისათვის.

ბატონო გოგა,

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე თქვენს მიერ 2015 წლის 7 აგვისტოს ელექტრონულად გამოგზავნილი N1599 განცხადების (ჩვ. რეგისტრ. N9770, 07.08.2015) პასუხად ელექტრონული ფორმით გაცნობებთ, რომ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციას შორის არ ყოფილა არანაირი მიმოწერა 2015 წლის 11 აგვისტოს ქ. თბილისში გასამართი უეფას სუპერთასის მატჩზე დასასწრები ბილეთებისა და მოსაწვევების სამინისტროსათვის გამოყოფასთან დაკავშირებით, სამინისტროს მიერ არ შესყიდულა აღნიშნულ მატჩზე დასასწრები არცერთი ბილეთი.

რაც შეეხება მოსაწვევებს, გაცნობებთ, რომ თამაშის ორგანიზატორების მხრიდან მოწოდებულ იქნა მოსაწვევები მხოლოდ მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილისა და მინისტრის მოადგილეებისათვის, ასევე 3 მოსაწვევი ესტონეთის ოფიციალური დელეგაციის წევრებისათვის.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი,

აპარატის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

ნინო თოფურია

მთავრობის ადმინისტრაცია და სხვა სამინისტროები

სხვა სამინისტროების შემთხვევაში, რომლებმაც IDFI-ის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხი მოაწოდეს, როგორც ირკვევა ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან მათთვის უეფას სუპერ თასის მატჩზე დასასწრები ბილეთების თუ მოსაწვევების გამოყოფას, აგრეთვე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რაიმე სახის მიმოწერას ადგილი არ ჰქონია. მსგავსი შინაარსის პასუხები ინსტიტუტს ეცნობა შემდეგი უწყებებიდან :

- **სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო**
- **გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო**
- **შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**
- **განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

საქართველოს სასჯელაღსრულებისა
და პრობაციის სამინისტრო
MINISTRY OF CORRECTIONS OF GEORGIA

MCLA 8 15 00669060

14/08/2015

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარეს
ბატონ ლევან ავალიშვილს

ბატონო ლევან,

თქვენი 2015 წლის 6 აგვისტოს NOPD08/15-020 განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ 2015 წლის 11 აგვისტოს თბილისში გამართული უეფას სუპერთასის მატჩზე დასასწრები ბილეთებისა და მოსაწვევების გამოყოფასთან დაკავშირებით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან მიმოწერა არ განუხორციელებია, შესაბამისად მატჩზე დასასწრები ბილეთები და მოსაწვევები სამინისტროს არ მიუღია.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, აღნიშნული უწყებიდან ინსტიტუტს ეცნობა, რომ მათ ფეხბურთის ფედერაციისათვის უეფას სუპერთასის მატჩზე დასასწრები ბილეთებისა თუ მოსაწვევების მოთხოვნით არ მიუმართავთ, **თუმცა, ადმინისტრაციის მიერ მოწოდებულ პასუხში არ არის დაკონკრეტებული,გადაეცათ თუ არა მათ მატჩის ორგანიზატორების ინიციატივით რაიმე სახის მოსაწვევები თუ ბილეთი.**

საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტს

მის: ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის N 3

თქვენი, ა.წ. 6 აგვისტოს N OPD08/15-022 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას არ გაუგზავნია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის მოთხოვნა თანამშრომლებისათვის 2015 წლის 11 აგვისტოს თბილისში გამართული უეფა-ს სუპერთასის მატჩზე დასასწრები ბილეთებისა და მოსაწვევების გამოყოფასთან დაკავშირებით.

თბილისის მერია

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ 17 უწყებას შორის, რომელმაც IDFI-ის მიაწოდა ინფორმაცია, უეფას სუპერთასის მატჩზე დასასწრები ყველაზე მეტი 240 ბილეთი(100 ცალი I კატეგორია, 140 ცალი II კატეგორია) ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამოეყო ქალაქ თბილისის მერიას. აღნიშნული ბილეთების საფასური გადახდილი იქნა მერიის თანამშრომლების მიერ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის იურიდიული საქალაქო
სამსახურის საჯარო ინფორმაციის
ხელმისაწვდომობისა და ეფექტური
საჯარო მმართველობის
მხარდაჭერის განყოფილება

KA010133179103515

№17/1171 **20 / აგვისტო / 2015 წ.**

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარეს
ბატონ ლევან ავალიშვილს
მის: ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის ქ. N3

ბატონო ლევან,

თქვენი, 2015 წლის 6 აგვისტოს OPD08/15–025 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ უეფას სუპერთასის მატჩზე დასასწრებად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის გამოყოფილი იქნა 240 ცალი (100 ცალი I კატეგორიის და 140 ცალი II კატეგორიის) ბილეთი.

ამასთან, დანართის სახით, გიგზავნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის 2015 წლის 11 აგვისტოს N3/30 წერილის ასლს.

დანართი: 1 ფურცელი.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და
ეფექტური საჯარო მმართველობის მხარდაჭერის
განყოფილების უფროსი

ილია გელაშვილი

დასკვნა

კვლევაში წარმოდგენილი 17 საჯარო დაწესებულებიდან მიღებული მონაცემები ბადებს კითხვებს 2015 წლის 11 აგვისტოს ქალაქ თბილისში ჩატარებული უეფას სუპერთასის მატჩზე მოქალაქეებისთის ბილეთების შეძენის თანაბარი და სამართლიანი პირობების შექმნასთან დაკავშირებით. როგორც კვლევაში გამოჩნდა საჯარო დაწესებულებში დასაქმებულ 710 თანამშრომელს მიეცა საშუალება ბილეთების შესყიდვა განეხორციელებინათ არსებული დაბრკოლებების გვერდის ავლით, კერძოდ მათ აღარ მოუწიათ ვაკის პარკში ბილეთების გაყიდვის რთულ პროცესში მონაწილეობის მიღება.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ კვლევა წარმოდგენილია მხოლოდ 17 საჯარო დაწესებულების მაგალითზე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბილეთების შეძენის გამოცხადებული წესების გვერდის ავლით გაცილებით დიდი რაოდენობით ბილეთი გაიყიდა საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ თანამშრომლებზე, ვიდრე ეს წინამდებარე კვლევაში იქნა ჩვენს მიერ წარმოდგენილი.

კვლევის სამიზნე მთელი რიგი დაწესებულებების მაგალითზე უეფას სუპერთასის მატჩზე დასასწრებ ბილეთებთან დაკავშირებით სახეზე გვაქვს შემდეგი პრაქტიკა:

- მაღალი თანამდებობის პირები შუამდგომლობდნენ ფეხბურთის ფედერაციასთან მათ უწყებაში დასაქმებული თანამშრომლებისათვის ბილეთების გამოყოფასთან დაკავშირებით;
- საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული თანამშრომლებისათვის გამოყოფილი ბილეთების შესყიდვა ხორციელდებოდა ამ თანამშრომლების სახსრებით;
- ოფიციალური წერილებიდან ჩანს, რომ ბილეთების გაყიდვის პროცესთან დაკავშირებული საზოგადოებრივი უკმაყოფილების ფონზე, თანამდებობის პირები მაინც ცდილობდნენ მაქსიმალურად გაეზარდათ უწყებებისთვის გამოყოფილი ბილეთების რაოდენობა.
- როგორც ოფიციალური დოკუმენტაციიდან ჩანს, თანამდებობის პირების მიერ ფეხბურთის ფედერაციის დახმარებით ბილეთების მიღების მთავარ ფაქტორად, აღნიშნულ მატჩზე არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და **ბილეთების გაყიდვასთან წარმოქმნილი ტექნიკური პრობლემები სახელდება**. ენერგეტიკის მინისტრი, კახი კალაძე, წარმოადგენს გამონაკლისს, ვინც სწორედ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით

უარი თქვა მის უწყებაში დასაქმებულ თანამშრომლებზე უკვე გამოყოფილი ბილეთების შესყიდვაზე.

- ფეხბურთის ფედერაციის მიერ საჯარო დაწესებულებებში VIP მოსაწვევების გამოყოფა განხორციელდა გაურკვეველი პრინციპით. მაგალითად, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გადაეცა 4 VIP მოსაწვევი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 7 VIP მოსაწვევი, ხოლო პრეზიდენტის ადმინისტრაციას და საგარეო საქმეთა სამინისტროს უარი ეთქვა მაღალი რანგის თანამდებობის პირებზე აღნიშნული მოსაწვევების გადაცემაზე.

დასკვნის სახით გვსურს აღვნიშნოთ, რომ ბილეთების შეძენის მსგავსი პრაქტიკა ეწინააღმდეგება საჯარო სამსახურის კეთილსინდისიერების პრინციპს, რადგან არავის აქვს უფლება გამოიყენოს საკუთარი სამსახურეობრივი მდგომარეობა რაიმე სახის პირადი სარგებლის თუ უპირატესი მდგომარეობის მოპოვების მიზნით.